

160
1927 / 3



საბჭოთა სეკონდები

39

180/3


1

საბჭოთა
1927

შინაარსი:

მეთაური—ა) საბჭოთა საზოგადოებრიობა და ჩვენი ეურნალის ამოცანები	1
ბ) იანვრის ორი	4
ბ. ბ.—2 იანვრისათვის	5
სანდრო ქუჩიძე—ხელოვნების მუშაკთა შეშვიდე კრილოზისათვის	6
აკ. ვასაძე—თეატრალურ სისტემათა ცვლა და საზოგადოებრივი აზრი ჩვენში	6
ბუნნიკაშვილიან საუბრიდან—სახელმწიფო დრამის მიმდინარე სეზონი	8
ა. ეიხენვალდი—საოპერო ხელოვნება	10
შ. დუდუჩავა—ჩვენი სათეატრო პოლიტიკის შესახებ	11
ს. აშალოზიანი—კინო-მრეწველობის მორიგი ამოცანები	15
ქ. მარჯანიშვილი—გოგი რატიანი	17
გ. ბუნნიკაშვილი—საბჭოთა კინოს მეგობართა საზოგადოება	20
შ. ალხაზიშვილი—ამერიკული კინო-კომედია	22
რას ამზადებენ	23
იაკობ ნიკოლაძე—ქანდაკების საიდუმლოება	25
ვ. ნ. დეიკ—კლოდ მონე	26
ვ. კოტეტიშვილი—სახეითი ხელოვნება და ჩვენი მშრომელი მასსა	28
დ. არაქიშვილი—ქართული მუსიკა. მეგრული შტო	30
ლ. ქუთათელაძე—მოხსენება სახელმწიფო კონსერვატორიის შესახებ	32
ნ. მიწიშვილი—ფიქრები ქართულ მწერლობაზე	33
ს. თოხაძე—ცოტა რამ ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ცხოვრებიდან	34
ა. ფაღვა—ბათუმის აკადემიური დრამა	35
ბ. ე. საოპერო სეზონის მოკლე მიმოხილვა	36
შ. ა.—ლი—ახალი ცირკი	37
შ. დადიანი—პროვინციისათვის	38
გ. ბ.—პოლიტგანმანათლებელი მუშაობა სოფლად და ხელოვნება	39
ვ. ქარელი—„ზაგმუკი“	40
ვ. კ.—საქალაქო მუხეშის გამოფენა	41
ს. ქ.—ხელოვნების მუშაკთა კლუბი	42
ფოთის სახელმწიფო დრამა	42
ა. ა.—ქიათურის აკადემიური დრამა	42
ბათუმის სახელმწიფო აკადემიური დრამის დასის შემადგენლობა	43
ბ. ჟ.—„ქართული მწერლობა“	43
შ. აკაკი პაპავა „მეურმე ნესტორა“	43
ბ. აბულაძე—წიგნი ტრისტანისა და იზოლდისი“ თარგ. გ. ქიქოძისა	44
შ. აფხაძე—ნიკოლოზ მიწიშვილი „წმინდანინა“ „შავი ვარსკვლავი“ „გარდაცვალება“	45
ბ. ნ.—სანდრო ეული ლექსები	45
პ. ქიქოძე—სოფრომ მგალობლიშვილი „რჩეული მოთხრობები“	46
ქრონიკა	47

ზოგიერთ მასალების დაგვიანებით მიღების და მიღებულ მასალების სიმრავლის გამო, გადადებულ იქნა შემდეგ ნომრისათვის: ვ. გუნიას მოგონება, შ. დადიანის წერილი, სურათები „ზაგმუკი“-დან (მ. ლორთქიფანიძე—ბელნიდი, თ. წულუკიძე—ილტანი და სხვა), რეცენზიები და ცნობები სომხურ და მუშათა თეატრის შესახებ.



საბჭოთა ხელოვნება

4648
თეატრი
კინო
მუსიკა
მხატვრობა
კრიტიკა

სახალხო განათლების კომისია-
რიატის ხელოვნების განყოფი-
ლების ორგანიზებული ორგანო.

1



საბჭოთა საზოგადოებრიობა და ჩვენი უზრუნველყოფის ამოცანები

საბჭოთა საზოგადოებრიობა ცოცხალი ფორმულაა იმ ახალი ყოფა-ცხოვრების, რაიც შექმნა ოქტომბრის დღემა რევოლუციამ. ახალი ამ საზოგადოებრიობაში გახლავთ ის გარემოება, რომ იქ არის მოცემული, ერთის მხრივ პრინციპალური უარისყოფა წინა-ჩვეულებათა და მეორეს მხრივ—სრულიად ახალი გავება ადამიანთა, როგორც საზოგადოებრივი, ისე ინდივიდუალური ურთიერთობისა.

რევოლუციამ არ იცის ნეიტრალური ძალები: ყველა ძალები იქ მებრძოლი და მოქმედი. ამიტომაც ახალი საზოგადოებრიობა შეადგინა იმ ელემენტებმა, ვინც სწორათ გაიგო, გულწრფელად შეითვისა და ორგანიზება განიცადა ოქტომბრის რევოლუცია, ვინც არ დაფრთხა მისი დიადი „საშინელებით“; ვინც არ გაქცა მას, როგორც სულ-მოკლე დეჟურტარი.

ინდივიდუალური კარჩაკეტილობის ძლევა, კოლექტივისტური ფსიხიკის ორგანიზაცია ცხოვრების ყველა სფეროებში—აი ის ძირითადი იდეოლოგიური ამოცანა, რომელიც სდგას საბჭოთა საზოგადოებრიობის წინაშე, ამ უკანასკნელმა თავისი გამოხატულება უნდა პოვოს, უპირველეს ყოვლისა, მხატვრულ ლიტერატურაში კერძოდ და საზოგადოთ კი ხელოვნებაში.

რევოლუციის პირველ წლებში ხელოვნებასა და საბჭოთა საზოგადოებრიობას შორის თავისებური უფსკრული არსებობდა. აქ, რასაკვირველია არაბუნებრივი აზარტია: ასე იყო მუდამ ისტორიულად, ასე იყო არსებითად საბჭოთა კავშირშიც. ინტელიგენცია, რომელიც იყო ფაქტიური ავტორი რევოლუციის წინადადის ხელოვნების, დაფრთხა ოქტომბრის რევოლუციით; ვინც ფიზიკურათ ვერ გაიქცა რევოლუციიდან, მან იდეოლოგიური საბოტაჟი გამოიყვანა მას: ისინი სწერდენ ყველაფერზე, მხოლოდ არა რევოლუციისაზე, არა იმ იდეებზე და ამოცანებზე, რომლითაც სცოცხლობს და არსებობს პროლეტარიატი. ასე იყო მხატვრულ ლიტერატურაში, იგივე განმეორდა სახვითი ხელოვნებაშიც. დროთა მსვლელობაში, პროლეტარიატის ახალ მიღწევებთან ერთად, ინტელიგენციის „გაბუტული“ ნაწილიც იღვიძებს, ის „უიროვდება“ რევოლუციას, რაიც უპირველეს ყოვლისა გამოიხატა რევოლუციის თემების დამუშავებაში.

დღეს კი, ამ მხრივ მოსკოვში დიდი მიღწევებია. იქ შეიქმნა მთელი კადრი რევოლუციონური მწერლების, რომელთა შემოქმედებას მეთოდურად რევოლუცია და რევოლუციაში წარმოშობილი ახალი ადამიანი განსაზღვრავს. სახვითი ხელოვნებაშიც დაარსდა რევოლუციონური მხატვართა კორპორაცია (АХРР), რომლის სწერენ რევოლუციის ყოფა-ცხოვრებას და ჰქმნიან ახალ ფორმებს შემოქმედებისას.

ჩვენში მდგომარეობა მანაც და მანაც ვერ არის ამ მხრივ შესაბამისი. განსაკუთრებით ეს სჩანს მხატვრულ ლიტერატურაში, სადაც ერთი თავიდან ბოლომდე რევოლუციონური იდეოლოგიით გამარჯობებული ნაწარმოებები არ არის მოცემული. ამ გარემოებამ განსაკუთრებით თავი ამხილა ჩვენს დრამატურგაში, რომლის კრიზისმა ბუნებრივად თეატრის კრიზისიც შექმნა. ამას დაუკავშირდა ის

კრიზისიც, რომელიც ჩვენ გვაქვს კინო-სცენარების საკითხში. სულ სხვა მდგომარეობაშია ჩვენი სამხატვრო დაწესებულებანი. აკადემიურმა დრამამ შექმნა განსაზღვრული მხატვრული ფორმები, რომლითაც ის აწარმოებს თავის მხატვრულ საქმიანობას. მუსიკალური განათლებაც მყარ ნიადაგზე დგას: ჩვენი უმაღლესი მუსიკალური სკოლა, რომელიც ფაქტიური რევოლუციონერი გახდა მუსიკალური კულტურის, უკვე გარკვეულ ფიზიონომიას დებულობს. ანალოგიური მდგომარეობაა სამხატვრო აკადემიაშიც, რომელიც წარმოებით ხელოვნების პრინციპებზე შლის თავის მოქმედებას.

მხატვრული საზოგადოებრივი აზრის ორგანიზაციის საკითხში თითქმის გადამწყვეტ როლს თამაშობს მხატვრული კრიტიკის პრობლემათა შესაფერისი დამუშავება. არ იქნება გადამეტება თუ ვიტყვით, რომ ამ მხრივ ჩვენში პირდაპირ კრიტიკულ მდგომარეობაა. სადი კრიტიკის ნაცვალთა ჩვენ გვაქვს მისი ნამდვილი პროფანაცია. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ე. წ. რეცენზიები საპიერო სპექტაკლების და საერთოდ მუსიკალურ მოვლენების შესახებ. კრიტიკამ უნდა აღზარდოს მკითხველიცა და მკურნებელიც: ის უნდა წარმოადგინდეს ერთგვარ რუპორს, საიდანაც უნდა იხმოდეს ნამდვილი ხმა ამა თუ იმ მხატვრული ფაქტის. ჩვენი ქურხალები დეკრითი ამოცანათ არის მიჩნეული მარქსისტულ კრიტიკის პრობლემათა სისტემატრია და მისი გამოყენება საბჭოთა ხელოვნების ყველა დარგებისადმი.

ჩვენს უზრუნველში საკმაო ადგილი აქვს მიკუთვნილი აგრეთვე კინო-მრეწველობის საკითხებსაც. კინოსა და თეატრის ურთიერთობის პრობლემა დღეს თითქმის ცენტრალურ პრობლემათ არის ქვეყნის სავსებით ბუნებრივი ფაქტია, ვინაიდან საბჭოთა კინოს უდიდესი მიღწევები ჰქმნიან მას თეატრის საშინო კონკურენტთა; და თუ ამას მიუხედავად იმ გარემოებასაც, რომ კინოს მეთოდებით აშკარა გარგებლობა დაიწყო თეატრმა (მეიერხოლდ), რის გამოც ეს უკანასკნელი მოიქცა კინოს გავლენის სფეროში, მაშინ ჩვენთვის სახვითი თვალსაჩინო ხდება ის ობიექტიური შიში, რამდენსაც თეატრი ჩუმია, მაგრამ ძლიერად განიცდის.

ამისდა მიუხედავად, ჩვენს კინო-მრეწველობას მრავალი დღეეულები გააჩნია. ამ დღეეულების შესწავლა საუკეთესო პირობაა მისი ძლიერსათვის. „საბჭოთა ხელოვნება“ შეეცადა ამ მიმართულებითაც წარმოართოს თავისი მუშაობა: დასახუთოს მიღწევები, გამოამჟღავნოს დღევანდელი და დასახოს პერსპექტივებიც, ხელოვნება უპირველეს ყოვლისა უფა-ცხოვრების ორგანიზატორი და იმავე დროს მისი გამამშვენიერებელი ფაქტორი უნდა გახდეს. აქედან: ხელოვნების წარმოებითი ხასიათს განსაკუთრებული ხაზი უნდა გაესხას; ამიტომაც ეს საკითხი—ხელოვნების წარმოებითი ბუნების დასახულება—ჩვენი უზრუნველის მორიგ ამოცანას მოიცავს. ყველა ამ ამოცანათა შედარებით გადაჭრა დასახულებებს და სავსებით გამოარტყობს ჩვენი უზრუნველის არსებობის აზრს და მით „საბჭოთა ხელოვნებას“ აქცევს საბჭოთა ხელოვნების ნამდვილ კომპეტენტურ ორგანოდ.



იანვრის ორი

იანვრის 2, ქართული თეატრის დღეა. საბჭოთა ხელისუფლებამ ეს ფაქტორი მდგომარეობა ოფიციალურადაც დააქანონა. ამ თარიღით, ჩვენ წარსულს ვიგონებთ, ვანეითარების გზებს ვითვალისწინებთ და მომავალს ვეჭვრეთ. ეს დღე, თეატრს ეკუთვნის. ის იმას ნიშნავს, რომ ჩვენი შეგნება საკმაოდ მომწიფდა, და რაც გუშინ სხვათა-შორის მოვლენად იყო მიჩნეული, დღეს პირველი რიგის საგნად ქცეულა. ყოველთვის უფურადღებო ქართულ თეატრს, საზოგადოება დღეს უკვე სიყვარულით ეკიდება, და მოწინავე ინტელიგენციის მიტარე ჯგუფის მფარველობის მაგიერ, დღეს მუხამა სახელმწიფო განაგებს თეატრის დიდსა და მნიშვნელოვან საქმეს.

ქართულ თეატრს ისტორია მოკლე აქვს. გიორგი ერისთავისგანაც რომ არ დავიწყოთ, და წინა ხანებში ვადავდიდეთ, მაინც ერეკლ-ს იქით ვეღარ აღწევს მისი დასაბაში. საუფუნე-ნახევრიანი დღე-ნებულება კი ისეთი უძველესი ერისთვის, როგორც საქართველოა, ფრიად ახალგაზრდად უნდა ჩაითვალოს. მართალია, ქართველ ხალხში, თეატრალბას ყოველთვის დიდი ფესვები ჰქონდა, მაგრამ მაშინ, სათეატრო ელემენტები იყო, თეატრი კი, როგორც მთლიანობა, — არა. ჩვენი თეატრის ნამდვილი ისტორია, მხოლოდ მე-80 წლებიდან იწყება, როდესაც უმღივე დას ჩაეყარა საფუძველი, ეს კი ისეთი ახლო წარსულია, რომ მისი მომსწრეები, დღესაც ცოცხალნი არიან. მომსწრეები კი არა, ზოგიერთი ინიციატორიც, როგ. მაგ. ნიკო ნიკოლაძე, ამ ნახევარი საუკუნის მანძილზედაც, ჩვენი თეატრი, როგორც წმინდა ხ.ლონება, არაფერ მნიშვნელოვანს არ წარმოადგენდა. ჩვენი გვეყვდნენ უდიდესი არტისტები, მაგრამ ეს კიდევ საკმარისი არ არის, რომ თეატრი დიდი და წმინდა ხელოვნების სადგურად იქცეს, რადგან თეატრი შემკრებლობითი ხელოვნებაა, და არტისტის გარდა, სხვა ელემენტების აბალეებაც არის საჭირო. ეს „სხვა ელემენტები“ კი, თითქმის არა გვექნია. ჩვენი დრამატურგია დაბალა დონისა იყო, მაყურებელი — ვადამიწებული, მხატვრულობის კულტურა ძალიან მცირე, და ასეთ პირობებში, რასაკვირველია, დიდი ხელოვნება ქართულ თეატრში ვერ დაისადგურებდა. საზაგეროდ, ამ ნახევარ საუკუნის მანძილზე, ჩვენი თეატრი პოლიტიკური და ეროვნული ტრიბუნა იყო; სადაც მრაველი, არა-პირდაპირი გზით ხდებოდა ფართულ პოპულაციების დემონსტრაცია.

ასეთ პირობებში თეატრს შეეძლო განვითარებულიყო პოლიტიკურად, მხატვრულად კი — აუცილებლათ უნდა ჩამორჩენილიყო. ეს ასეც მოხდა. ჩვენი თეატრი ვერ მისდევდა უ.ბო თეატრებს, და სწორედ ამ მიზეზით, იგი ვერ იქცა ქართველი საზოგადოების მხატვრული მოთხოვნილების პირველ საგნად, ასე მოვიდა ჩვენი თეატრი რევოლუციამდე. შემდეგ კი, ჩვენი თეატრის ახალი ხანა იწყება. მას ჩამომორდა ის დიდი დაბრკოლებანი, რომელსაც ძველი რეჟიმი უქმნიდა, და მხატვრული განვითარების გზები გახსნა. მაგრამ ამ გზებზე შედგომა ავიდოდა საქმე არ იყო. უნდა ითქვას, რომ საზოგადოთ თეატრი, ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით, უფრო კონსერვატიულია. ამის მიზეზი უმთავრესად ის არის, რომ თეატრი ინდივიდუ-

ალური ზემოქმედება არ არის. იგი კოლექტიური საქმეა, და მამასადამე, უფრო ნაკლებ მოძრავე, ვიდრე პირველული. ამას ვარდა, ის საშუალებანიც, რაც თეატრს გააჩნია ე. ი. თამაში და მტყველობა, ძნელი მოსაქნელი და გარდასაქმნელია. აქტიური მტყად დიდი ზომისა უნდა იყეს, რომ შესძლოს სიახლის შექმნა, ეს სიახლე კი, სხვიებისთვის, დიდ-ხანსა რჩება მაზღონად. თეატრის ასეთი ბუნება უფრო აძნელებს მის რეფორმას, თუ მასში რევოლუციის მოხდენას. ხოლო თუ თეატრის ამ ზოგად თვისებებს ჩვენი თეატრის სპეციფიკურ მხარეებსაც მიუმატებთ, აშკარა გახდება ის სიძნელე, რომელიც ჩვენი თეატრის განახლების წინაშე არის აღმართული. საბოლოოდ კი, თეატრის საკითხი მთელი თანამედროვე კულტურის მდგომარეობასთან არის დაკავშირებული, და ეს უკანასკნელი განსაზღვრავს მის მდგომარეობასაც. ეს კი, თეატრის ძირითად საკითხების შერყევასა მნიშვნავს, რადგან მთელი თანამედროვე კულტურა არის შერყეული.

დღევანდელ ადამიანის სულში დიდი განგაში არის ატეხილი. ძველი, დამუდარ ცხოვრებასთან შეგუებული ადამიანის ფსიქიკა ელამაზნა. საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი ელემენტი იწონება ახალ სასწორზე, ყველფერი გამამაფრებელია, და ამ სიტუაციას მაშინ უფრო ვგრძნობთ, როდესაც კულტურის სფეროს ვეხებით. აქ, საკუთარ სულის ქირურგიას ვახდენთ, და მწარე თეატრალიზმში ვედილობთ ახალი აზრის დამუშავებას. ეს ეტყობა კიდევ თანამედროვე არტისტების და უფრო მეტად ხელოვნებას, სადაც ხდება იმეათი ბრუნვა, დანაწილება, დაფანტვა, მიპართულებათა შექმნა და სწრაფი რტევა, ახალ იდეალების ხარბი ძიება, და მრავალი ცდის საბედისწერო უწყაფობა.

მეტად დიდი რამ აწვალეს თანამედროვე ადამიანს, და ხელოვნება, როგორც მისი სულის ვადამსული და გამომსახველი, კიდევ ვერ ახერხებს ამ შინაგანი მღელვარების ჩვენებას, აბიტომ არის, რომ თანამედროვე ხელოვნება ცხოვრებისაგან თითქმის გაყარულია, და ამ ორ სტუქიონთა დაშორება კი ჰქმნის იმ მოჯადოებულ წრეს, რომელსაც დამძლევა სჭირდება. ამ დაძლევის ნიშნები უკვე სხანან. ახალი ცხოვრების ფორმები, თან-და-თანობით ირკვეიან. ამის-და მიხედვით იცვლება ადამიანის სულიც, და მამასადამე ხელოვნებაც. ამ დიდი განთიადის შუქი შემორლია ჩვენი თეატრის სარკმელებში, რომელსაც პირველი სიხარულით ქართველი მსახიობი ეგებება. ამ გარემოებამ მხატვრულ მიღწევების მთელი რიგი მოგვცა. ეს არის ჩვენი თეატრის გამარჯვების საწინდარი. ხოლო დიდი პერსპექტივის გასათვალისწინებლად ისიც კმარა, რომ ქართული თეატრი საზოგადოებრივ და პირველ მოთხოვნილებების დიდ საკითხად არის ქცეული, რომ ქართველი მსახიობი უკვე მოაზროვნე ადამიანია, რომელსაც იცის, რომ ვთავათა მოხიბმე დაუდევრობის პერიოდია, და მის მხრებზე დაეყრდნო ქართული კულტურის ერთი დიდი და სერიოზული მხარე, რომელსაც ის, უნდა ითქვას, ღირსეულათ ატარებს. ამაში მხოლოდ მსახიობის კულტურა ჩვენი კულტურისათვის, ეს უდიდესი მიღწევა და 2 ინფარსაც მითომ ვდღისასწავლობთ. საბჭოთა ხელისუფლების მომბოლოერი ზრუნვა ჰქმნის ისეთ პირობებს, როგორც მატერიალურს აგრეთვე მორალურსაც, რომელიც გამამაყებანებს ქართ. თეატრის შინაგან მხატვრულ შესაძლებლობას, და მისი საშუალებას მისცემს მუშათა და გლეხთა მასებს დაეყაფოს ნამდვილსა და საღ მხატვრულ კულტურას.



2 იანვრისათვის

2 იანვარი ქართული თეატრის დაარსების დღეა და როგორც ასეთი, მისი დღესასწაულიც.

თავის მოკლე ისტორიის განმავლობაში, ქართულმა თეატრმა არაჩვეულებრივი განვითარების უნარი გამოიჩინა.

დიდი ნახტომია, ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, დიდი გზა განვლილი ჩვენი თეატრის ისტორიაში წარსული საუკუნის ნახევრიდან დაწყებული, დღემდე. ამის სიმბოლიურ გამოსახულებას იძლევა ორი პოლიუსი. ქართული თეატრის დაარსების დღის აღმნიშვნელი „გაყრა“, (როდესაც ჩვენი თეატრი იღამადა ფეხს და ბნელში გაუშვდავად იკვლევდა გზას), და უკანასკნელი დროის დადგმები. დიდი გზაა, შეიძლება ითქვას ცელიანიც, გავლილი, ვიდრე ქართული თეატრი მიაღწევდა ასეთს გამოცოცხლებას, მოღონიერებას, რომელსაც დღეს ვაძინებთ.

დღევანდელი ხელისუფლების წყალობით, ჩვენი თეატრი გრძნობს თავის თავს მკვიდრ ნიადაგზე. სახელმწიფო დრამა, პროვინციის თეატრები, მუშათა თეატრი, სახელმწიფო ოპერა და სხვა, ხელისუფლების საიმედო ზრუნვის საგანია, და ამიტომაც მიდის მისი განვითარება წინ ასეთი ჩქარი ტემპით.

უკანასკნელ ხანებში, ვადაუქარბებლათ შეიძლება ითქვას, ქართულ თეატრში ბევრი რამ გაკეთდა. ქართულმა თეატრმა შესძლო დაახლოვებოდა აუდიტორიას, და მოეპოვებინა ფართო მასების გულწრფელი თანაგრძნობა. ეროვნული კულტურის ეს უმნიშვნელოვანესი დარგი უეჭვო აღორძინების გზას ადგია და განაგრძობს ენერგიულ მუშაობას მასსებთან დაახლოვების სფეროში.

ეკრძოდ სახელმწიფო დრამაზე. ქართული თეატრის სიოცულობა და დროის შესაფერად ვარდამენის უნარიანობა, სწორედ სახელმწიფო დრამის

მაგალითზე გამოაშკარავდა ამ ხუთიოდე წლის წინად, როდესაც კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით და მსახიობთა კოლექტივის მეოხებით, მძლავრად შეირაა ჩვენი თეატრის უკვე დასუსტებული საფუძვლები და თეატრი გამოვიდა მისთვის სრულიად ახალ, უჩვეულო, მაგრამ აუცილებლად სწორ გზაზე.

ვერ ვიტყვი რომ ჩვენი დრამის მუშაობა ამ ეამდ ჩამოყალიბებულია ერთხელ განსაზღვრულ მყარ ფორმებში. იგი ჯერ კიდევ ძიების პროცესშია. მაგრამ, რომ ამ ეამდ ჩვენი დრამის მიერ აღებული კურსი სწორია, ამას ნათლად ამტკიცებს ის თანაგრძნობა და გამოხმაურება, რომელიც მის დადგმებმა ჩვენს მშრომელ ფართო მასასში მოიპოვა.

ჩვენი თეატრის მტკიანი ადგილი, მისი აქილევსის ქუსლი, არის ორიგინალური რეპერტუარის და საერთოდ ჩვენი დრამატურგიის სისუსტე. ამ ნაკლის გამოსწორებისაკენ უნდა იყოს მიმართული მთელი ჩვენი ენერჯია. თუ გვინდა, რომ ქართული თეატრი მართლაც ჩვენი ეროვნული კულტურის ერთ-ერთ ღვიძლად გადარჩეს, იგი ორიგინალური რეპერტუარით უნდა იკვებებოდეს უფრო მეტად, ვიდრე ამას ამ ეამდ აქვს ადგილი.

აი რა ამოცანა უნდა დავესათ დღის წესრიგში ქართული თეატრის ტრადიციულ დღესასწაულზე და ეს ამოცანა მომავალში დადებითად უნდა გადავჭრაოთ.

უნდა გვეხსოვდეს, რომ გამარჯვებული კლასი და მისი ნებისყოფის მატარებელი საბჭოთა ხელისუფლება, ყოველმხრივად ხელს შეუწყობს ჩვენი თეატრის წინსვლას.

ს. ბ.

ხელშეწყობის გეგმაზე გეგმილ ქართული სახელმწიფო

10 იანვარს ვაიხსენებ სრულიად საქართველოს ხელოვნების მუშაეთა კავშირის მეშვიდე ყრილობა. ხელოვნების მუშაკები შემიღებჯერ იკრიბებიან, საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ. ამ ყრილობას განსაკუთრებული ინტერესით მოვლიან ხელოვნების მუშაეთა კავშირის წევრები. სხვა საკითხთა შორის, ყრილობის დღის წესრიგში შეტანილია მოხსენებები ხელოვნების მთავარ განყოფილების და სახელმწიფო კინო-მრეწველობის საქმიანობის შესახებ. ეს უკანასკნელი საკითხი განსაკუთრებულ ინტერესს გამოიწვევს ყრილობაზე. ჩვენ კავშირში შემაველ წარმოებათა შორის კინო-წარმოებას პირველი ადგილი უსვავია და ამიტომაც, ცხადია, ხელოვნების მუშაკები უნდა იყონ ამ წარმოების საკითხებით უაღრესად დაინტერესებულნი.

რაც შეეხება ხელოვნების მთავარ კომიტეტის მუშაობას, სამწუხაროთ უნდა ითქვას, რომ წარ-

სულში ის არ იდგა შესაფერისიმოდლეზე. ამით უნდა აიხსნას ის ვარებობა, რომ თითქმის ყოველ წელს ხდება ამ ორგანოს რეორგანიზაცია შესაძლებლობის იმ ფარგლებში, რომელსაც იძლევა საბჭოთა ხელისუფლება ხელოვნებისათვის. უნდა აღინიშნოს უკანასკნელ დროს ამ ორგანოს მუშაობის გაცხოველება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მოხდა კომიტეტის უკანასკნელი რეორგანიზაცია და დაარსებულ იქნა განათლების კომისარიატთან ხელოვნების განყოფილება. ყრილობამ უნდა სთქვას თავისი სიტყვა ამ ორგანოს წარსული და მომავალი მუშაობის შესახებ.

ყრილობა მოისმენს ცენტრალურ გამგეობის მოხსენებას კავშირის წლიური მუშაობის შესახებ.

საჭიროა გავკვრიოთ მოვიხსენიოთ თს პირობები, რომლებშიც გამგეობას უხდებოდა მუშაობა. უნდა ითქვას, რომ არც ერთ პროფესიონალურ კავშირში



ისეთი მიმღე პირობები მუშაობისათვის არ არსებობს, როგორც ხელოვნების მუშაკთა კავშირის ამის უმთავრესი მიზეზი ის ვახლავს, რომ ამ კავშირის წევრთა საგრძნობი ნაწილი კულტურულად ჩამორჩენილია. სამხატვრო დაწესებულებათა და წარმოებათა ეკონომიური მდგომარეობაც არ არის მტკიცე, რითაც უნდა აიხსნას ხელოვნების მუშაკთა უმრავლესობის ხელფასის სიმცირე. ამას გარდა, ხელოვნების მუშაკთა სხვა და სხვა ჯგუფების ეკონომიური მდგომარეობა ერთი მეორესაგან საგრძნობათ განსხვავდებიან. ერთნი განიციდან უკიდურეს მდგომარეობას (ღებულობენ 15-30 მანეთამდე), მეორენი კი, მაღალი კვალიფიკაციის მქონენი, უზრუნველყოფილი არიან (ღებულავენ 500-2000 მანეთამდე). ამიტომაც, ამ ჯგუფთა შორის საერთო ინტერესი ნაკლებია. არის ერთი გარემოებაც, რომელიც აფერხებს ხელოვნების მუშაკთა კავშირის ნაყოფიერ მუშაობას. ეს ის, რომ საზოგადოების ფართო წრეში ხელოვნების შესახებ ძველ კონსერვატორულ შეხედულებებს ვერ გაცილებიან. ისინი დღესაც უტყვიან ხელოვნებას, როგორც გასართობ საგანს და არა როგორც სკოლას, რომელიც აუცილებელია მისი გავითვითებობიერებისათვის.

ასეთ მიმღე პირობებში მიმდინარეობდა ხელოვნების მუშაკთა კავშირის მუშაობა. ამიტომაც, საჭირო არის კავშირის წევრთა უფრო მჭიდროდ შეერთება, საჭირო არის პროფკავშირის გაძლიერება, საჭირო არის ამ კავშირის მასის კულტურული დონის ამაღლება.

ხელოვნების მუშაკთა კავშირის წინაშე მრავალი საკითხებია წამოჭრილი, რომელთაც ალბად ყრილობაზე სათანადო გაშუქებას მიიღებენ. პირველი და უმთავრესი საკითხი სატარიფო-ეკონომიური მუშაობაა. ამ სფეროში ხელოვნების მუშაკთა კავშირის მუშაობა სათანადო სიმაღლეზე არა სდგას. საჭირო არის ეკონომიურად ჩამორჩენილ ჯგუფების მდგომარეობის გაუმჯობესება. შემდეგი საკითხია ორგანიზაციული მუშაობა. ამ სფეროში ხაზი უნდა გაესვას მასიურ მუშაობას. ხელოვნების მუშაკთა მასა უნდა იქნას ამოძრავებელი და ჩამბული კავშირის საერთო საქონაობაში. რაც შეეხება კავშირის კულტურულ მუშაობას, ხელოვნების მუშაკებისათვის ამ მუშაობას დაკვირვით ხასიათი აქვს მიცემული. მართალია, ამ ორი სამი წლის განმავლობაში კავშირის კულტურული მუშაობა გაიზარდა, მაგრამ ამასთანავე გაიზარდა ჩვენი მასის კულტურული მოთხოვნილებებიც, რის გამოც საჭიროა კულტურული მუშაობის გაღრმავება და გაძლიერება.

დასასრულ, საჭირო არის ყრილობაზე ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს კავშირის მუშაობას პროცენციაში, განსაკუთრებით კი სატარიფო-საეკონომიო დარგში, რომელშიაც მუშაობა უსათუოდ მოიკოკლებს.

სრული იმედი უნდა ექიპონიოთ, რომ ხელოვნების მუშაკთა მეშვედენ ყრილობა, დღის წესრიგში დასმულ, ყველა საკითხებს ჯეროვანად გააშუქებს, და ახალ ცვაზმეობას დაავალებს კავშირის ახალ ამოცანების შესაფერის ვადაქიას.

სანდრო ჭურბიძე.

აბ. ვასაძე

თეატრალური სისტემათა ცვლა და საზოგადოებრივი აზრი ჩვენში

როდესაც თეატრზე ლაპარაკი, სამი მოვლენა უნდა გავითვითწინიოთ: ვინ თამაშობს, ხად თამაშობს და რას თამაშობს; ვინ ვახლავთ აქტიორი, ხად სცენა და მაყურებელი და რას ავტორი; აი ამ სამ ელემენტების დამოკიდებულებისგან შესდგება თეატრი და მისი რაობა. ჩვენი ვალა ეს დამოკიდებულებანი არტისტისა, სცენისა-მაყურებლისა და ავტორისა განვიხილოთ. გავისხენებთ რა თეატრის ისტორიას დასაბამიდან დღევანდლ დღემდე, დავინახავთ შემდეგ სურათს არტისტი და სცენა-მაყურებელი იცვლებიან და ავტორი კი დამოკიდებულია ყოველთვის თეატრალურ სისტემის ცვლაზედ.

-- მაგალითები ამისთვის ისტორიიდან.

უძველესი ხანა: დიონისის კულტის დღესასწაულები, როგორი იყო ორგანიზაცია ამ დღესასწაულებში? ქალწულები დაფნის რტობებით, შემოდგომის თუ გაზაფხულის ნაყოფი მსხვერპლ საწირავად განზახდებულნი; მათ შემდეგ წაირჩინებული მოქალაქენი და ქურუმები, მოცკევენი, რომელნიც დემონების მთიარულების თუ მუშუბარების გამოძახებულნი იყვნენ, ვაშლი მწვანე მინდორზე, რომლის გარშემო ვალაღებული მაყურებელი თვით მსახიობს და დროს ატარებს.—ის პირველი თეატრი, სადაც მხადა ყველა პერსონაჟი წარმოდგენისთვის აი ის გარემოებაც, აადაც წარმოდგენა ვაიშალს; და მოდის დრამატურგი, რომელიც ყველა ამ მოვლენას, როგორც ფაქტს დრამატულ ნაწარმოებით

ამტკიცებს. კულტურის წინ სვლასთან ერთად გაშლილი არე თანდათან ვიწროვდება და არქოლოგიური გათხრების, მეცნიერების საშეალებებით, ჩვენ წინ თითქმის მთელი სიყვადით, ბერძნული თეატრი აღიმართება, შესანიშნავ მოწყობილებითა და მაშინერიით, რომლის შინაგნობა ჯერ თანამედროვე თეატრს მთლიანად არ ვადავლებია.

ახლო მაგალითი. იტალია—და მისი Comedia de larte, ხალხური თეატრი—სკარამუშები მეფედანზე, დუქანში, საცა მოხვდებოთ, მოძრავ სცენაზე გამართულ წარმოდგენებით, რომელთაც თემის მეტი არავითარი ლიტერატურული ნაწარმოები არ ვაინათი, და იმდენათ ძლიერი იყო ლტოლვა ამ თეატრისადმი, რომ შეზინებულმა სამღვდელეობამ და ინტელიგენციამ თეატრი მისტერიების სახით შემოიღო, მაგრამ იმდენათ ძლიერი ძარღვი მქონდა ხალხურ თეატრს, რომ მისტერიები თათქმის სრულიად ადადავგარა და შემდეგ სამღვდელეობამ მისტერიებსაც და საერთოდ თეატრს ანათებდა გამოუტყვად. მხოლოდ ახალი იერიში ხალხურ თეატრზე, სასახლის წარმოდგენებით დაიწყო. შემდეგ ხალხური თეატრი იმ სამი განზოპილები ყუთში მოხვდა, რომელიც დღეს ყველგან ცნობილია თეატრის არქიტექტურის სახით.

აი ამ არქიტექტურის შეცვლის მოპყვა გოლდონის კომპრომისებით, რადგანაც ძამინდელი კომედია დღლიარტეს ცნობილი არტისტი საკვი და ის შენობა, რომელშიაც უღებობდათ წარმოდგენების



დადგმა, სხვა და სხვა თეატრალური მცენებანი იყენენ, რის გამოც ირღვეოდა ის მთლიანი ილიუზია, რომელიც მაშინდელ თეატრში უნდა ყოფილიყო; ამიტომაც ვოლდენის მუშაობა თეატრში პირველად აქტიურიცენ იყო მიმართული, რომლის მიხედვით შემდეგ წყურდა იგი თავის კომედიებს.

— უახლოესი ხანა. რუსეთი სამხატვრო თეატრი სტანისლავსკის მეთაურობით ჭქმნის ახალ სისტემას და ჩეხოვი მისთვის მხოლოდ მასალაა ლიტერატურული.

ვის იცყვის სამხატვრო თეატრი ჩეხოვისაა და არა სტანისლავსკისა?

მეიერხოლდთან ასტროფისკის პიესა „ტყე“ და იგივე მცირე თეატრში, ხომ სულ სხვა და სხვა მხატვრული მცენებანი არიან. ამ მავალითებს ორი დასყენისკენ მიიყვანათ:

1. **თეატრალურ სისტემათა ცვლა არ არის დამოკიდებული ავტორისაგან და 2. იმ გარემოს გამოცვლა, რომელსაც სცენა ეწოდება, არტისტის და ავტორის ცვლას იწვევს.** სწორედ აქ არის მიზეზი დღევანდელ თეატრალურ კრიზისისა.

არტისტი რომ თანდათან სამი განზომილების სივრცეში მოექცა, მან თავის ცულ მხარეებთან ერთად, კარგი მხარეებიც დაივიწყა, რადგან ახალი ფოლორცი და ახალი კლასი ახლა ამოკანას აქისრებდენ მას. ისიც თანდათან შორიდებოდა არტისტის მთავარ დანიშნულებას და უკვე პირობით ზოგად ნილაბებს საზოგადოებრივ მოღვენისის კიდარ მახორციელებდა, არამედ იმ ადამიანს, რომელიც ანსტრუქტურას უწევდა, ან ყოველდღიურათ ხელზოდ ცხავრების სარბილზე. უკანასკნელს კი აკლდა ხელოვნება გამსჭვირვალობის (პროზარკის) და ყოველდღიურ წვრილმანობით დატვირთა თეატრი. იმ აი აქ შეიქმნა თეატრალური კრიზისი და დაიწყო ძიება ახალი გზების, რომელი ძიებაც ეგრე აბუნად არის ავდებული ჩვენში ზოგიერთ „ქულამხვილ“ თეატრის კრიტიკოსისაგან.

საით უნდა ყოფილიყო მიმართული ახალი თეატრის მადიდებელთა ყურადღება? დრამატურგისაკენ თუ ორგანიზაციისაკენ, რომელიც ჭქმნის წარმოდგენას ე. ი. აქტიორისაკენ და მასურებლისაკენ? — ოსაკენდებელია მასურებლისაკენ და აქტიორისასაკენ, რადგან ივით ერთი და იგივე დრამატურგი, თავის ნაწარმოებებით შეიძლება იყოს თანადრობისათვის საინტერესო და არა საინტერესო; იგი დამოკიდებულია ამა თუ იმ შესრულებაზე, და ამა თუ იმ შესრულებაზე შექმნილ დაიწყო. რაში მდგომარეობს ეს ახალი არტისტის და ახალ ფოლორცთა შექმნა? — ეს ვახლავთ 1. არტისტის და ნივთის რაული მარმონიული დამოკიდებულება, რომელიც ჭქმნის თეატრალურ ილიუზიას და არა, როგორც წინად იყო, არტისტის ცალკე და ნივთი ცალკე, 2. ორი განზომილების ნაცვად, 3. ორი განზომილების ფოლორცი საცა არტისტი განთავისუფლებული იქნება სტატკისაგან, ე. ი. განსხვავებულ სივრცეს რომ ვერ გადასცდებოდა ორი განზომილების დეკორაციებში პერსპექტივის ილიუზის შესაქმნელად და სხვა. სწორედ ეს ფორმალური ძიება თეატრის რევისორს აყენებს პირველ რიგში, რადგან ჯერ-ჯერობით ფორმაცია ახალ არტისტისა არ დასრულებულა და რევისორი კი ამის გამო იძლევა

ამა თუ იმ სახეს თეატრისას; მაგრამ ამავე დროს ის ეძებს არტისტს, რადგან ეს უკანასკნელი ყველგორია წარმოდგენის გამარჯვებისთვის.

ოთხი წლის მუშაობა ჩვენი თეატრისა ფორმების ძიება და ჯერჯერობით ჩვენ გვაქვს ზოგადი კონტური პირობით რეალურ თეატრისა სინტეტიურ ფორმებში, რომელსაც თუმცა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა კ. მარჯანიშვილმა, მაგრამ სრული ფორმაცია ახალ არტისტს და სცენის, ჯერ კიდევ შორს არის.

როგორც სხვაგან, ისე ჩვენშიც თეატრალური სისტემის გამოცვლამ ერთი აურზაური გამოიწვია და ჩვენც სწორედ ის გვიანტერესებს, თუ როგორ იყო ჩვენი მუშაობის შედეგად, ან კრიტიკა ამ ოთხი წლის განმავლობაში. შეიძლება ითქვას, რომ თუ ასე გაგრძელდა სათეატრო საკითხებთან მისვლა, როგორც აქამდე იყო, თეატრალური კრიტიკა ისედაც ანეკდოტურ მდგომარეობაში მყოფი კიდევ უფრო დავეითებდა.

ა. ჭუმბაძის ზერელე, მაგრამ რიხიანი განცხადება დისპუტზე, რომ თეატრის კრიზისის დაძლევა მოხერხდება წარმოდგენის თეატრის კედლებიდან გარეთ გამოტანითო, თითქმის თეატრის კრიზისი კონოს განქინითაც იყოს წარმოშობილიო, ძალიან ვაცუვილით აზრია, რადგან ჯერ კიდევ საკამათოა კიბო ხელოვნება თუ ხელობა.

მეორე არა სასიამოვნო მოვლენას აქვს კიდევ ჩვენი ადგილი. ეს ვახლავთ „არ გინახავს, მაგრამ მაინც იგივე“ ცოცხალი მავალით: ესტრუქტურ საფუძვლების წიგნის ავტორის კ. კაპანელის აზრი ჩვენს თეატრზე. უნდა აღინიშნოს, რომ კ. კაპანელს არც ერთი ჩვენი წარმოდგენა არ უნახავს და ამისდა მიუხედავთ იძხის: მარჯანიშვილის თეატრი „დაეფეის“ და „მსუბუქი“ ენარის თეატრიო! რატომ? რა საბუთით? ალახმა უწყის და კარგი იქნება კაპანელი შევატყუარინებდეს, თუ სად ნახა მან ასეთათ ჩვენი თეატრი?

მესამე მოვლენა ვახლავთ ჩვენი რევენზიების მეტრის მეტათ უნუგეშო მდგომარეობა.

აი მაგ. „მზეთ“-ს რევენზი „ზამგუიკი-ს“ დადგმაზე. თავი დავენებთ იმას, მას მოსწონს თუ არა პირობითი დადგმა, ამის უფლებას მას არ ვართმევთ, მაგრამ ბაბლონის თუ ასურულის სტილის დაცვის დანახვა, იმამო, თუ ბაბილონელები როგორ სქამენ, როგორ მუშაობენ და სხვა ამგვარ დეტალებში ყოველდ შეუძლებელია. სტილის შიშვნელობას ჯერჯერობით სიტყვიერების თეორია ასე გვასწავლის, რომ სტილი არის ამა თუ იმ ნაწარმოების სულის ფიზიონომია, და თეატრშიაც ამა თუ იმ ეპოქის სტილის დაცვა ნიშნავს, ამა თუ იმ ეპოქის სულის გაცოცხლებას და ამისთვის მორთულება იმდენად, რამდენად წარმოდგენის არ დატვირთავს, რადგან თეატრში ნივთის და არტისტის დამოკიდებულებას, როგორც ზვეით ვაგარკვეით, განსაჭთობრებული მოშენებლობა აქვს; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ მუხუქებს ყველა თავისი ატრიბუტებით. მართალია სიმართლის ცოდნა საჭიროა, მაგრამ მას შეუძლიან თეატრში თეატრალურ სინაღლებზე ასვლა, და საერთოდ ხელოვნებაში, ვინც ჭქმნარბიტება იცის და მის მაგვარ ჰიპერბოლას შექმნის და ამით ახალ ფორმულას და ახალ ჭქმნარბიტებას დაამტკიცებს.

„ზამგუი“-ში არის თუ არა ასეთი ვაგებთ სტილი დატული? მე ვამბობ არის და კიდევ სხვა რა-



მეცაა, რომელზედაც თქვენი ყურადღება უნდა შევაჩერო, ეს გახლავთ კონკრეტიზაცია სამი განზომილების ფოლორცია, რომელიც აუქმებს ხაზს ძიებისას, მოყოლებული «ცხვრის წყარო»-დან დღეს ვანდელამდე, და რაც გვაახლოებს ხალხურ «კომედია დე-ლარტეს» სულთან, საცა არტისტი თავის ხელოვნების ბატონი იყო.

მხოლოდ, კრიტიკა და საზოგადოებრივი აზრი უნდა გასცდეს ისეთ შეფასებას, როგორც არა ერთ-

ხელ წაიკითხავთ ამა თუ იმ რეცენზიებში, ესა და ეს მსახიობი თამაშობდა, „როგორც დაპირილი ლომი“, „ითითოს ერთი მეორეს ეჯიბრებოდენ“ ან „მქისე“ შეხედულება ჰქოდა ამა თუ იმ მსახიობსაო, თორემ ქალაქი, ენერჯია დაიხარჯება და ვერც თეატრს, ვერც საერთოდ ჩვენ კულტურას ვერაფერს შესძენს მართლაც ეს „მქისე“ რეცენზიები.

სახელმწიფო დრამის მიმდინარე სეზონი

(საუბარ) სახელმწიფო დრამის დირექტორ ამხ. გ. ბუნჯიაშვილთან).


სახელმწიფო დრამის მიმდინარე სეზონის მოსამზადებელი მუშაობა ფაქტურად დაიწყო 5 სექტემბერს. მუშაობის დაწყების დაგვიანება აიხსნება სხვადასხვა ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზებით. ამრიგად, სახელმწიფო დრამას, არ ჰქონდა დრო, რომ სეზონის გახსნამდე მზად ჰქონოდა რამდენიმე ახალი პიესა, თავის რეპერტუარიდან. დასის ინტენსიური მუშაობის შემდეგ, სეზონი მაინც შედარებით ადრე გაიხსნა — 28 ოქტომბერს. საზოგადოება უკვე იცნობს „ზამგუკ“-ს. ამ პიესით—რომლის დადგმაც მხატვრულად და იდეოლოგიურად სრულიად გამართლებულია—სახელმწიფო დრამა ხსნის მთელ რიგ პიესებს, რომელნიც თანადროულობის შესაფერინი არიან. შემდეგი პრემიერა იყო „ამერიკელი ძია“-ა, შიუკაშვილის ორიგინალური კომედია. რაც შეეხება მომავალ მუშაობას, სახელმწიფო დრამას განზრახული აქვს შემდეგი დადგმები: შილერის ტრაგედია „ვილჰელმ ტელ“, გერმანიიდან სავანგებოდ ნათარგმნი სანდრო შანშიაშვილის მიერ. პიესა სადებიუტო დადგმა რეჟისორ დ. ანთაძის. შემდეგი პრემიერაა „საქე მარცხნივ“ ბილ-მელოცერკოვსკის რევოლუციონური პიესა. პიესის ტენიკური შესრულება მეტად საინტერესო იქნება ჩვენი საზოგადოებისათვის. პიესა იდგმება დამტკიცებული რეპერტუარის გარეშე. იანვარში დაიდგმება აგრეთვე ანტონოვის „ქმარი ხუთი ცოლისა“. ასეთია სამხატვრო მუშაობის უახლოესი პროგრამა გარდა ზემოხსენებულ პიესებისა, სეზონის დამთავრებამდე დადგმულ იქნება სხვა ახალი პიესებიც დამტკიცებული რეპერტუარიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი რეპერტუარი ვერ არის დამაკმაყოფილებელი ერთის მხრივ, მასში ცოტაა ორიგინალური ქართული პიესები. სახელმწიფო დრამას არ ძალუძს ამ დაბრკოლების გადალახვა. ეს ჩვენი დრამატურგების საქმეა. თავის მხრივ სახელმწიფო დრამა იღებს ყოველგვარ ზომებს, რომ შექმნას თეატრისათვის ორიგინალური რეპერტუარი. თეატრი თავის ირგვლივ იკრებს მთელ რიგ დრამატურგებისას რეპერტუარის შესაქმნელად. თუ მიმდინარე სეზონში არა, მომავლისათვის მაინც ჩვენი ორიგინალური რეპერტუარის შექმნის იმედი გვაქვს.

სეზონის დამთავრების შემდეგ, სახელმწიფო დრამას განზრახული აქვს საგასტროლო მოგზაურობა საბჭოთა საქართველოს დაბა-ქალაქებში. რაც შეეხება სახელმწიფო დრამის მატერიალურ მდგომარეობას, შეიძლება თამაშად ითქვას, რომ მდგომარეობა გაცილებით უკეთესია წარსულზე. თეატრი იღებს საკმაო დოტაციას სახელმწიფოდან.



„ზამგუკ“ ან. გლებოვის. აბიმილი—აკაი ხორავა.



„ზაზმუკი“. დრამ ან. გლეზოვისა. რადგმა ალ. ახმეტელის. მხატვარი ი. გამრეკელი.
1-ლი აქტი. 1-ლი სურათი.



ნინგალუმი — თამარა კავტავაძე.
ნინგელსინ — აკაკი ვასაძე.
ნირარ — ლაზარ ყაზაიშვილი.



არადეა — უშანგი ჩხეიძე.

საგარეო ხელოვნება

თავის არსებობის პირველ დღიდან, დღემდე ოპერამ განიცადა დიდი ცვლილებები და, რასაკვირველია, სცენიური ხელოვნების ეს სახე, ახლაც განიცდის არა ნაკლებ ცვლას, სანამ თავის ჯერდის იპოვიდეს.

თუ ჩვენ დაუკვირდებით ოპერის მიერ ისტორიულ განვითარების გზას, დავინახავთ რომ, პრიმიტიული ფორმიდან დაწყებული თანამედროვე ფორმამდე ოპერის მრავალი სახე-ცვლილება არსებობდა, სახელდობრ—მუსიკის თანხლებით სცენიური სანახაობების პირველი ჩანასახი იყო პანტომიმა, რომლის მოქმედნი პირნი საუბრობდნ მხოლოდ ყესტების და მიმიკის საშუალებით. მუსიკა ავსებდა მხოლოდ იმას, რაც თქმული არ იყო. შემდეგ წარმოიშვა სხვა ფორმა: პროზა მუსიკალური ნომრებით და სიმღერით (ვოდევილი). ამ ფორმების შემდეგ გამოჩნდა ახალი—ოპერეტა მაგვარი, უფრო რთული ფორმა—სიმფერა პროზით. ბოლოს ეს უკანასკნელი გარდაიქმნა პრიმიტიულ ოპერად.

ამ მომენტიდან იწყება ოპერის, როგორც დამოუკიდებელი სცენიური ხელოვნების ისტორია. პირველი ოპერები შესდგებოდნ ცალკე არებიდან, რომლებიც ურთიერთ შორის შეყავიერებულნი იყვნენ პრიმიტიული რეჩიტატივებით, და სრულდებოდნ ერთ ან ორ ნოტაზე კვარტეტის აკომპანიმენტით. ამგვარად, მელოდია იყო მხოლოდ ცალკე არიებში, რეჩიტატივებში კი ყველაფერი სრულდებოდა სასაუბრო ნით. შემდეგ წარმოიშვა უფრო რთული ფორმა: გამოჩნდა ანსამბლი და რეჩიტატივის მიეცა რამდენათმე მუსიკალური შესრულება. ცეკვის დაეთმო ცაკოე ადგილები და ბოლოს რეჩიტატივი ჩამოყალიბდა გარკვეულ მუსიკალურ სურათში. ამავე პერიოდში ოპერამ გაიარა ერთი მეტად საინტერესო ისტორიული მომენტი: აშენებულ იქნენ დიდი თეატრები, უფრო ფართო და რამდენათმე ტენიკურად კარგად მოწყობილი სცენებით. ამით დაიწყო ევრეთწოდებული „დიდი ოპერები“-ს პერიოდი, ნაწილობრივ დეეროლოზი-საკენ გადახრებით. ამ პერიოდში გაიშალა მეიერბერის შემოქმედება. მისი ოპერები ითხოვდნ დიდ ორკესტრს, გუნდს, ბალეტს და სხვა. ვანერმა ოპერა გარდაქმნა მუსიკალურ დრამათ. ოპერის ეს უკანასკნელი სახე პუნინიმ მიიყვანა განსაკუთრებულ ვირტუოზულობამდე, მუსიკის და სიუჟეტის შემოკლებით. თითქმის ამავე დროს რუს კომპოზიტორებმა გაითქვეს სახელი. ისინი გამოვიდნენ ხალხური ეპოსით, ხალხური დრამებით (მუსორგსკი), ხალხური მუსიკით და ფანტასტიურ-ზღაპრული აღმოსავლეთით (რიმსკი-კორსაკი). ამ სახით საოპერო ხელოვნება განავრცობს არსებობას ამჟამად.

თეატრალურმა ხელოვნებამ დაიწყო ახალი გზების ძებნა. მრავალ, უშეაყრესად დრამატიულ თეატრებმა პოეტის თავის პიესა ფორმით, მათთვის იჭერებმა სპეციალური ახლები და სწარმოებეს ძველების გადაკეთება. ოპერა-კი ჩამორჩა ცხოვრებას და მისმა რუტინამ დღევანდლად მოაღწია, მიუ-

ხედავად იმისა, რომ ბევრი რეჟისორები თავის ძიებაში სცილობდნ ოპერის გარდაქმნას. მაგრამ საოპერო ხელოვნების რთული სტრუქტურა მათ ძალ-ღონეს აღემატებოდა და საქმე თავდებოდა ან შეღამაზებული დეკორაციებით, ან უხერხული მიზანსცენებით, მუსიკალური ღირსებების საზარალოდ.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ოპერა, როგორც ასეთი, უძველად სცენიური ხელოვნების პირობითი სახეა. არიები თითქმის ყოველთვის გამოხატავენ ცალკე ინდივიდუალურ ოცნებებს და სხვა. ანსამბლები ხშირად ერთსა და იმავე დროს რამდენიმე პირის ხმა-მალა გამოთქმულს აზრებს შეადგენენ. საგუნდო ანსამბლიც ხშირად უნატებს იგივეს. ეს კი, ცხადია, პირობითობაა და ანულებს მოძრაობის ტემპს და მოქმედების განვითარებას.

ზოგიერთი გენიალური კომპოზიტორები უარს ამბობდნ მუსიკალურ ფორმებზე და სცილობდნ სცენიურ მოქმედებასთან უფრო ახლოს მისვლას. მაგრამ, ოპერის ეს ფორმა ვერ შეითვისა ძველს არიების ოპერას შეჩვეულმა და ამ ფორმაზე აღზრდილმა მსმენელმა. აქამად დაყურებელი უკვე სხვა და ფეიქრობთ, რომ მუსიკალურ პიესების ამ უკანასკნელ ფორმამ უნდა დაიკავოს უპირველესი ადგილი საოპერო თეატრების რეპერტუარში. ოპერის ძველი ფორმები კი დავიწყებას მიეცემა.

მაგრამ, რადგანაც ოპერა, როგორც ასეთი, სასცენო ხელოვნების პირობითი სახეა, ამიტომ ეს პირობითობა ბოლოს და ბოლოს უნდა დაყვანდეს იქნას მიზნულამდე. ვფიქრობთ, რომ ოპერა მომავალში მიიღებს ფორმას, სადაც მუსიკა, ტექსტი და მოქმედების თანამედროვე თანამგზავრი, ითამაშებს მთავარ როლს და სცენაზე მოქმედების და შესრულების გამოსავალი წერტილი იქნება საორკესტრო შესრულება და არა პირობითი, როგორც ეს. ეს ცოტაა, ჩვენ გგონია, რომ მოძრაობის რიტმი, მიმიკა, გარკვეული ექსტები და ბოლოს და ბოლოს ცოცხალი სიტყვა დარაკებენ სცენაზე უშეაყრეს ადგილს, მაგრამ არა იმ გრძელი ფორმით, როგორც თანამედროვე ოპერაში არსებობს.

რასაკვირველია, ჩვენ მიერ განხილული საკითხი არ შეიძლება მოთავსდეს პატარა სტატია-შენიშვნის საზღვრებში და ითხოვს დიდს, შეიძლება ითქვას, მეცნიერულ შრომას და დეტალურ დამუშავებას. თანამედროვე ცხოვრება განსაკუთრებული ტემპით მიმდინარეობს, და როცა ახლანდელი მაყურებელი ხშირად კინემატოგრაფის ეკრანზე ხედავს მოქმედების და შიამბეჭდილებების ცვლის სწრაფ ტემპს, როცა დრამატიულ თეატრებმა გადალახეს მოედნება, ეს მაყურებელი ვერ დაკმაყოფილდება ისეთი ოპერით, სადაც მოქმედების და დრამატიული მომენტების განვითარება შენელებული ტემპით მიმდინარეობს ან სოფლიად ჩერდება.

ვფიქრობ, რომ ოპერა ახლო მომავალში იპოვებს თავის ახალ ფორმებს.

ა. ეიხენვალდი.



ჩვენი სათავაზრო პოლიტიკის უსახვებ

საბჭოთა ხელოვნების სათავაზრო პოლიტიკა ორგანიზაციულად უკავშირდება იმ პრინციპებს, რომელიც გამოიშობება პარტიამ მხატვრული კრიტიკატურის პოლიტიკის სფეროში. ამ პრინციპებს მილიანათ განსაზღვრავს ამხ. ნ. ბუხარინის მიერ წამოყენებული დებულება პროლეტარული ლიტერატურის შესახებ: „არ უნდა გვაიწყდებოდეს, ამბობს ნ. ბუხარინი რომ კულტურული პრობლემა მით განსაზღვრდება მებრძოლ პრობლემისაგან, რომ მისი გადაწყვეტა შეუძლებელია დაკვირვით წესით და საზოგადოთ, —მეჭახეკურ ძალდატანებითა საშუალებებით, ეს პრობლემა უნდა გადაწყდეს კომბინირული მეთოდით, რომელიც შეესაბამება საღ განვირულ კრიტიკას; ამ მეთოდში კი მთავარი კონკურსიცია“ აქედან დასაქვის ავტორი და ლაპარაკობს: „პროლეტარული ლიტერატურის დაღუპვის უდიდესი და საუკეთესო საშუალება არის თავისი უფიქროსი ტულე კონკურსების უარისსყოფა“. (К вопросу о политике Р.К.П. в художеств. литературе).

ასეთი საბჭოთა ლიტერატურის განსაზღვრავს ჩვენს სათავაზრო პოლიტიკასაც. ამ პოლიტიკის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს თეატრალური კულტურის გაჯანსაღების და საზოგადოთ ახალი თეატრის შექმნის საკითხში

მთავარი, რაღაც ახსიათებს ჩვენს სინამდვილეს და თეატრალურ სინამდვილეს კერძოთ—არის ახალი მსაყურებლის გაჩენა. ეს მსაყურებელი შედის თეატრში ახალი მსოფლმხედველობით და ახალი განცდებით. თეატრმა ამ უდიდეს ფაქტორს-მსაყურებელს განსაკუთრებულ ანგარიში უნდა გაუწიოს წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაპყრავს თავის მიზნებზე, და მით დასცენს თავის მხატვრულ ღირებულებასაც. თეატრი ორი ორგანიზული ელემენტის შემცველია: ერთის მხრივ მსაყურებელი და მეორის მხრივ ყველაფერის ის, რაც სცენას ახასიათებს: დრამატურგი, მსახიობი, რეჟისორი. ამ ორი ელემენტის ურთიერთობაში მხილდება თეატრის მხატვრული მთლიანობა: ემოციონალური ზემოქმედების საშუალებით სცენა იპყრობს მსაყურებელს, ხოლო მხატვრული ფორმებში მოცემულ საღი იდეის გამო ახალი მსაყურებელი ითვისებს და განიცდის სცენას. ამ საკითხთან დაკავშირებულია როგორც რეპეტუარის, ისე თვით თეატრის კრიზისის ფაქტიც. თეატრის კრიზისი იწყება სწორეო მაშინ, როცა ირღვევა ურთიერთობა მსაყურებელსა და სცენას შორის, როცა არსებული მხატვრული ფორმები აღარ აკმაყოფილებს მსაყურებელს და არსებული იდეოლოგია თეატრისა კი წარმართავს მის ფსიხიკას და კრწინობებს უარყოფითი მიპართულებით. ყოველივე ამას მაშინ აქვს ადგილი, როცა ეპოქა წინ უსწრებს თეატრს, როცა თეატრი, ჰკარავს მხატვრულ ზემოქმედების უნდას და როცა თეატრის ადამიანური შემადგენლობა (დრამატურგი რეჟისორი, მსახიობი) წარმოადგენს მეტისმეტად მოსაწყენი და უსიციცხლო ეპიგონების კორპორაციას: პრინციპიალურ ეპიგონობას თეატრული უნყოყნობა ნიდაც, მხოლოდ მაშინ, როცა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა ვერ პოულობს თავის მხატვრულ დამოხატულებას დრამატურგიაში და როცა ახალი ადამიანის ინსტინქტები და განცდები გაუფიქრებელი და უცხოა თეატრალური იდეოლოგიისათვის. პრინციპიალური ეპიგონობა—შემოქმედ-

ბის განიავებას ნიშნავს: ეს კი თავის მხრივ უდიდის თეატრალურ ფორმების მკაცრ კონსერვატიზმს.

მსაყურებლის დაპყრობა თეატრში ერთად ერთი ვარაუდია თეატრის კრიზისის ძლიერსათვის. აქედან: მსაყურებლის შესწავლა, მისი განცდების შეთვისება, მისი მსოფლმხედველობის გაგება—სათავაზრო მუშაობის აუცილებელი მომენტებია. ლენინგრადის და მოსკოვის თეატრებში ასეთი იდეაცა დაბადებულა, რომ თეატრში აუცილებელია შრომის მეცნიერული ორგანიზაციის შემოღება, რომ მსაყურებლის შესწავლა მეცნიერულ საფუძვლებზე სწარმოებდეს.

ამ რიგად: მსაყურებელზე ორიენტაცია ზრდის თეატრს, როგორც მხატვრულია, ისე იდეოლოგიურადაც. თავის-თავად ცხადია, რომ ასეთი ორიენტაცია იმ შემთხვევაში იპოვის მყარ ნიდაცს თუ თეატრის მხატვრული ფორმები ემოციონალურ კავშირს გააბამს რამზასა და მსაყურებელს შორის და თეატრი იდეოლოგია გააღრმავებს მსაყურებელში სიციცხლისა და ბძოლის ინსტიქტებს. თეატრის რეპეტუარია ამავე პრინციპზე უნდა აშენდეს. რასაკვირველია ეს სრულეებითაც არ ნიშნავს, რომ თეატრი ყოველთვის უნდა დამუროზიოდეს თავის მსაყურებელს: თეატრმა უნდა აღზარდოს თავისი მსაყურებელი, თეატრმა უნდა შეუქმნას მხატვრული გემოვნება მსაყურებელს, ამაშია მისი აღმზრდველობითი მნიშვნელობა. ამიტომაც უნდა დამყარდეს გარკვეული მიღუსი იმ ურთიერთობისა, რომელიც უნდა სწარმოებდეს მსაყურებელსა და სცენას შორის. ამ მიღუსის შექმნა თეატრის მხატვრული საქმიანობის ერთ უმთავრეს მომენტათ უნდა იქნეს მიზნული

თეატრის იდეოლოგიაც, რომელმაც თავისი თავი ნაწილობრივ რეპეტუარაზე უნდა გამოამყარებინოს, მსაყურებლის აღზრდას უნდა ემსახურებოდეს ახალი ადამიანს პრობლემა—ი რა უნდა გახდეს თანამედროვე დრამატურგიის ცენტრალურ პრობლემათ: ახალ ადამიანში პროლეტარიატის სულსა: კეთება მოცემული; პროლეტარიატი ჰქმნის ახალ ყოფა-ცხოვრებას, ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას. სიციცხლის პრობლემა, რომელიც იწვევს სცენაზე ბურჟუაზიული მსოფლმხედველობა, და რომელმაც თავისებური განათება მიიღო ინდივიდუალისტურ ფილოსოფიაში, პროლეტარიატში რეალისტურად გადასურვა: სიციცხლის აზრი მან გახსნა ზღირა ბძოლის იმ ინსტინქტებით, რომლებიც ბუნებრივათ იბადებიან როგორც შემოქმედების სვეროში, ისე ბუნების საიდუმლოებათა ძლიერს პროციკსზიაც. სიციცხლის პრობლემის ასეთი ვადამოტო, პროლეტარიატმა სძლია სიციცხლის პრობლემა და მით ყოველგვარი მისტიკის იმ თავითვე გამოაცალა რეალური ნიდაცა.

აი ყველა ის თემატურა მომენტები, რითაც უნდა განსაზღვროს დრამატურგმა თავისი შემოქმედება. რასაკვირველია ეს ოდნავათაც არ ნიშნავს კლასიკების და ყოფა-ცხოვრების ჰიქების უარისსყოფას: ერთიც და მეორეც თანამედროვე მსაყურებლისთვის აუცილებელია საჭიროა კლასიკები იძიეიან სურათს ადამიანის ენებათ ბძოლისა (შექსპირი), და ამ გარემოებას მსახიობისათვის განუზომელი მნიშვნელობა აქვს: მსახიობი აქ ამუღავნებს თავის შინაგან შემოქმედებითი პოტენციას; ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მოსკოვის ყველა სამხატვრო სკულ-



დები თვის მუშაობას იწყებენ კლასიკებით: კლასიკებზე ისინი ზრდიან მსახიობს, რადგანაც აქ ის სწავლობს ადამიანის შინაგან სულისკეთებას, მის ვნებათა ბრძოლას ურომლისოდაც მსახიობის შემოქმედებით კულტურა ვერ შეიქმნება.

ახასთანავე კლასიკების შემოქმედება წარმოადგენს ძველი კულტურის უდღეს მიღწევას მხატვრულ ლიტერატურის დარგში; საბჭოთა იდეოლოგია კი ძველ კულტურას ერთის ხელის მოსმით თავის თავად ცხადია არ უარყოფს: ის ღებულობს ამ კულტურაში ყველა იმ ელემენტებს, რომელთაც შერხათ მხატვრული ღირებულება და რომლის ტიხე-ნიკის შესწავლა აუცილებელია ახალი კულტურის შექმნისათვის: შექპირის, გიოტრს და პუშკინის უნივერსალური მნიშვნელობა უდათ ცნობილია ახალი კულტურის მკვებლობის პროცესშიაც, იმის და მიუხედავად, რომ მათი შემოქმედება და ამ შემოქმედების იდეები დაიკვირვებია თანამედროვეობისაგან საგრძნობი ხანით. წინააღმდეგის მტკიცებდა აუცილებლათ ბუნებრივ წემარცხებობათ უნდა მივიჩნიოთ; მაგრამ ისიც უნდა, რომ მეტის-მეტრ ატარებდა თეატრში კლასიკებით არ ვარგა, რად ანაც იდეოლოგიურათ კლასიკები არაფერს უტუნებნათ თანამედროვე ადამიანს: აბა რა უნდა ეთხროს თანამედროვე მკვებებელს ჰამლეტის ფილოსოფიურმა მსჯელობამ სიტუაციის შესახებ, მისმა ცნობილმა მონოლოგმა „ყოფნა-არყოფნის“ საკითხი თანამედროვე ადამიანისათვის არ ასრულებს: ის დარწმუნებულია მეცნიერულადაც ძველი ქვეყნის უდღესობაში, ის ებრძვის ამ ქვეყანას შეგნებულათ და ვნებური რწმენით ახალი ქვეყნის გამარჯვებაში, ამიტომაც მისთვის ყოფნა არ არა თუ სასურველია, აუცილებელიცაა, რადგანაც მისი „ყოფნა“ შესძლებს „არყოფნის“ ძლიერსაც. რევოლუციონური ინსტიტუტი, მეცნიერული რწმენა და ძველი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლის რომანტიული სიმშენიერე ჭეშნის თანამედროვე ადამიანში საღ ოპტიმისტს, რომლის ფსიქოლოგიურ ფონზე სიტუაციის ჰეარგავს ჰამლეტისებური პესიმიზმი.

ყოფა-ცხოვრების პიესების ის მიწვენილობა აქვს თანამედროვე თეატრისათვის, რომ იქ მხატვრულათ ხათ;ლი ხდება ყველა ის მომენტები, რაიც ახასიათებს ფართო მასების ყოფას და ზნე-ჩვეულებებს.

ჩვენი დრამატურგია ამ მხრივ საგრძნობლად მოიკუჭლებს: დღევანდლამდე ერთი საბჭოთა პიესა, ახალი ყოფა-ცხოვრების ამოსახველი, არ არის შექმნილი, ეს იმ დროს, როდესაც თემატიური მასალა ამისათვის საკმაოთ მოიპოვება.

თანამედროვე მკვებებელს ერთი სპეციფიური მომენტის ახასიათებს- ის ძემბს თეატრში საღ სიცილს, საღ იუმორს. მოსკოვის თეატრებში ამ მხრივ მდგომარეობა შედარებით კარგია: მათ ალლო აუღეს მკვებებლის სულისკეთებას და სტილი-ობენ ამ მიმართულებას ავან თავის რეპერტუარი. „მანდატი“ — მკობოლდის დადგმით ნამდვილ საბჭოთა კომედიის კომედიის რეალური დასაწყისია. ჩვენში საბჭოთა კომედიის მარტო „დებურტორტიკოტი“ შემოიფარგლა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში არა საბჭოთა კომედიას „ამერიკელი ძიწა“, რო;ლიც, როგორც ლიტერატურულად ხაწაროები ძველი, მეტის-მეტად მოსაწყვეთ ვოლდის შთანბქმედობას სტოვენს; (განსაკუთრებით გაქინა-ურეცული შესახებ აქტი).

ამ რიტოთ: თანამედროვე მკვებებლისათვის საჭიროა როგორც კლასიკის ისე ყოფა-ცხოვრების კო-

მედები: თავის-თავად ცხადია, ასეთი რეპერტუარი იცენტრალური ადგლი უნდა დიკავოს ნამდვი-ლმა, მხატვრათ გამართლებულმა რევოლუციონურმა პიესებმა.

